პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—დეკემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩისთვის არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩას მიენიჭოს არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:482521 Y:4619307
არჩილ და გია ქურდიანების ქ.
X:482217 Y:4619160

10/03222724-03.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

Georgian Union of Architects
UIA National Section

89/24 David Agmashenebeli ave. 0102 Tbilisi, Georgia. T (995 32) 2910116; E-mail: archunion_geo@yahoo.com; s/k: 201950549

International union of Architects

Member countries

№ 23

3 ოქტომბერი 2022

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი მოგმართავთ თხოვნით განიხილოთ საკითხი გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის გიორგი (გია) ქურდიანის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით მისი სახელის მინიჭების შესახებ ქ. თბილისში ერთ-ერთი ქუჩისათვის.

ბატონ გიორგის უახლოეს დროში (2022 წლის 15 ოქტომბერს) უსრულდება დაბადებიდან 90 წელი და ის ღირსეული წარმომადგენელია ქურდიანების არქიტექტურული დინასტიისა, რომელსაც მე-19 საუკუნის ბოლოს სათავე დაუდო მისმა ბაბუამ, ცნობილმა ინჟინერ-არქიტექტორმა გიგო ქურდიანმა და დღესაც გრძელდება მისი შთამომავლების არჩილის და გიორგის სახით.

ბატონი გიორგის სახელი უშუალოდაა დაკავშირებული ზოგადად ქართულ, კერძოდ კი თბილისის არქიტექტურასთან, სადაც ის დაიბადა და გაატარა მთელი ცხოვრება. მისი ავტორობით შექმნილია ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტი ქ. თბილისში, როგორიცაა ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი და სხვა მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობანი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (იხ. დანართი - „ბიოგრაფია და ობიექტთა ნუსხა“).

მთავრობის მიერ სათანადოდ იყო დაფასებული მისი ღვაწლი თავის დროზე - მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის წოდება (1976) და დაჯილდოებული იყო ღირსების

51 rue Raynouard 75016 Paris (France)

ორდენით (1999 წ.). ამას გარდა კოლეგებმა, არქიტექტურულმა საზოგადოებამ 2012 წელს მას მიენიჭა „არქიტექტურის რაინდის“ წოდება.

ოჯახთან შეთანხმებით წარმოგიდგენთ ორ ვარიანტს ქუჩებისა, რომლითაც შეძლება ეწოდოს გიორგი (გია) ქურდიანის ქუჩა და ორივე განლაგებულია ვერეს უბანში (ცხოვრობდა ბარნოვის ქ. N 44-ში, ე.წ. „ქუდრიანების სახლში“).

ესენია :

1. არსებული „გუდაურის ქუჩა“ ს. ჯანაშიას და ი. თარხნიშვილის ქუჩებს შორის (ქუჩის განლაგების სქემა თანდართულია).
2. „ბელინსკის ქუჩა“, რომლის ნაწილს („მელიქიშვილის ქუჩიდან“ „ზანდუკელის ქუჩის“ გადაკვეთამდე) 1989 წელს უკვე ეწოდა „თამარ ჭოველიძის“ ქუჩა (ქუჩის განლაგების სქემა თანდართულია).

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

ნუგზარ ხვედელიანი

საქართველოს არქიტერქტორთა კავშირის თავმჯდომარე

51,rue Raynouard 75016 Paris (France)

თბილისი 09/10-22

03.10.2022

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს
ბატონ ნ.ხვედელიანს

არქიტექტორების,
არჩილ (უმცროსი) და გიორგი (უმცროსი) ქურდიანების

<u>განცხადება</u>

ბატონო ნუგზარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, მდებარეობს ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, რომლის ავტორი და პროექტის მთავარი არქიტექტორი გახლავთ გია ქურდიანი.

გიორგი (გია) ქურდიანი გახლავთ:
საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი,
არქიტექტურის რაინდი,
ღირსების ორდენის კავალერი.

ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის გარდა, იგი იყო მთელი რიგი შენობა-ნაგებობების ავტორი არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. (იხ. დანართი 1 - „ბიოგრაფია და ობიექტთა ნუსხა").

გია ქურდიანი გარდაიცვალა 2014 წლის 06 დეკემბერს.
ა.წ. 15 ოქტომბერს მას შეუსრულდებოდა 90 წელი.

ჩვენი მოკრძალებული თხოვნაა, რათა გაითვალისწინოთ ეს საიუბილეო თარიღი და გია ქურდიანის ავტორობა ამ მსოფლიოში აღიარებული ერთერთი უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ობიექტისა, მისი ღვაწლი ქ.თბილისისა და ამ ქალაქის არქიტექტურის წინაშე, და გვიშუამდგომლოთ ქ.თბილისის საკრებულოს წინაშე, რათა მისი სახელის უკვდავსაყოფად, შეძლებისდაგვარად, რომელიმე ქუჩას დაერქვას „გია ქურდიანის ქუჩა".

გია ქურდიანმა მთელი თავისი ცხოვრება გაატარა ვერის უბანში, ბარნოვის ქ.44-ში, მისი ბაბუის, ცნობილი .ინჟინერ-არქიტექტორის, გიგო ქურდიანის აშენებულ ე.წ. „ქურდიანების სახლში". ჩვენთვის ყველაზე მიზანშეწონილი იქნება, თუ თქვენი არჩევანი გაჩერდება ამ საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს მდებარე რომელიმე ქუჩაზე.

ბარნოვის ქუჩას, ამ საცხოვრებელი სახლიდან 150 მეტრში კვეთს „ბელინსკის ქუჩა". ამ ქუჩას XIX საუკუნის მიწურულს ერქვა „აგურის ქუჩა". შემდეგ მას დაარქვეს „ბესარიონ ბელინსკის ქუჩა". 1989 წელს მის ნაწილს გადაერქვა და ამჟამად „მელიქიშვილის ქუჩიდან" – „ზანდუკელის ქუჩამდე" დაერქვა „თამარ ჭოველიძის ქუჩა". მადლობლები ვიქნებით, თუ შესაძლებელია, რომ სწორედ „ბელინსკის ქუჩის" ნაწილს გადაერქვას სახელი და დაერქვას „გია ქურდიანის ქუჩა".

წინასწარ გიხდით მადლობას.

გია ქურდიანის შვილი:
არჩილ (უმცროსი) ქურდიანი
არქიტექტურის დოქტორი,
i აერთაშორისო არქიტექტურული აკადემიის
პროფესორი;
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის
გამგეობის წევრი (UAG);
საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის წევრი;
თბილისის სკულპტორთა და არქიტექტორთა
ასოციაციის გამგეობის წევრი (TASA)

გია ქურდიანის შვილიშვილი:
გიორგი (უმცროსი) ქურდიანი
არქიტექტურის მაგისტრი,
საქართველოს არქიტექტორთა
კავშირის წევრი (UAG)
საქართველოს არქიტექტორთა
ასოციაციის წევრი (AAG)
თბილისის სკულპტორთა და
არქიტექტორთა ასოციაციის წევრი
(TASA)

გიორგი /გია/ არჩილის ძე ქურდიანის ბიოგრაფია და ობიექტების ნუსხა

საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი. (1976).
ღირსების ორდენის კავალერი. (1999).
წლის საუკეთესო არქიტექტორი. (2006).
არქიტექტურის რაინდი. (2012).

დაბადების თარიღი: 1932 წლის 15 ოქტომბერი.
გარდაცვალების თარიღი: 2014 წლის 06 დეკემბერი.
ეროვნება: ქართველი.
პროფესია: არქიტექტორი.
გამოცდილება: 1957 წლიდან.
განათლება:

1950-1952 - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; ფერწერის ფაკულტეტი;
1952-1958 - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; არქიტექტურის ფაკულტეტი; არქიტექტორის დიპლომით;

სამუშაო გამოცდილება:

1957-1958 საპროექტო ინსტიტუტი „კიევპროექტი"; არქიტექტორი.
1958-1966 ს/ი „თბილქალაქპროექტი"; სამოქალაქო პროექტირების განყოფილების ხელმძღვანელი.
1966-1978 ს/ი „საქქალაქმშენსახპროექტი"; განყოფილების ხელმძღვანელი.
1978-1981 ს/ი „თბილქალაქპროექტი"; განყოფილების ხელმძღვანელი.
1981-1985 ს/ი „ცენტროსოიუზპროექტი"; განყოფილების ხელმძღვანელი.
1985-1992 საქართველოს პარლამენტი, მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო საბჭო, სახელმწიფოს მეთაური, პრეზიდენტის აპარატი; მთავარი არქიტექტორი.
1992-1997 საქართველოს არქიტექტორთა კავშირის შემოქმედებითი სახელოსნო; დირექტორი.
1997-2003 „გია ქურდიანის შემოქმედებითი სახელოსნო"; დირექტორი.
2003-2009 „გია და არჩილ ქურდიანების სტუდია <<დინასტია>>"; გენერალური დირექტორი.
2009-2014 „გია და არჩილ ქურდიანების სტუდია <<დინასტია>>"; შემოქმედებითი დირექტორი.

ობიექტების ნუსხა:

- ქ.თბილისის ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი;
- ქ.თბილისის ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე კომერციული ცენტრი;
- ქ.თბილისის ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე სასტუმრო და მრავალსართულიანი ავტოფარეხი. /საპროექტო წინადადება/.
- ქ.ქუთაისში „ტორპედო"-ს სტადიონის რეკონსტრუქცია. /საპროექტო წინადადება/.
- ქ.თბილისში „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფილმსაცავის შენობა.
- ქ.თბილისში „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის" სათაო ოფისისა და სტუდიების რეკონსტრუქცია-გაფართოება. /საპროექტო წინადადება/.
- ქ.ქუთაისში ფინანსთა სამინისტროს იმერეთის რეგიონალური ცენტრი.
- საქართველოს მრეწველობის სამინისტროს საცხოვრებელი სახლის, ოფისების, საგამოფენო დარბაზის, მრავალსართულიანი გარაჟის და რესტორნის კომპლექსი ქ.თბილისში, თევდორე მღვდელის ქ-ზე;
- საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის ობიექტების პროექტირება SCADA-ს პროექტის ფარგლებში.
- ქ.საგარეჯოში სანაპირო ზოლისა და მიმდებარე საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების რეკონსტრუქცია.
- მრავალსართულიანი, მრგვალი ავტოფარეხი ორთაჭალაში;
- მრავალსართულიანი, მრგვალი ავტოფარეხი კრწანისში;
- საქართველოს ყოფილი მინისტრთა საბჭოს მიღების თეთრი დარბაზი პარლამენტის შენობაში;
- სამთავრობო რეზიდენცია ბობოყვათში;
- სამთავრობო რეზიდენცია ვარციხეში;
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის პირველი სახლი;
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მეორე სახლი;
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მესამე სახლი;
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის საწყალოსნო კომპლექსი;

- კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ხელოვნური ტბა და პარკი;
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მაღალი სტუმრების მიღების კომპლექსი;
- საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი ქ.თბილისში არსენალის /მახათას/ მთაზე;
- "დინამო"-ს საცურაო აუზი ქ.თბილისში;
- "დინამო"-ს სპორტული დიდების მუზეუმი ქ.თბილისში სტადიონის ტერიტორიაზე;
- სახტელერადიოს შემოქმედებითი სახლი საგურამოში (კონო-საკონფერენციო დარბაზი, აუზი, ადმინ.შენობა, კეთილმოწყობა);
- საცხოვრებელი სახლი მარუხის უღელტეხილის გმირების ქ.-ზე, ქ.თბილისში
- საგამოფენო დარბაზი-სახელოსნო ქ.თბილისში, ფანასკერტელის ქ-ზე;
- სამსართულიანი ინდივიდუალური სახლი ქ.თბილისში ვეზიროვის ქ.-ზე;
- სასტუმრო ნუცუბიძის ქ-ზე, ქ.თბილისში;
- ბაგა-ბაღი 140 ბავშვზე ქ.თბილისში, პავლოვის ქ-ზე;
- ყოფილი "იმელი"-ს შენობის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია;
- მთელი რიგი ობიექტებისა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცეკავშირის (ცენტროსოიუზპროექტის) ხაზით;
- ლუდის ბარი ქ.თბილისში;
- ზემო ვარძიის სამონასტრო კომპლექსი;
- ინტერიერები, დიზაინი, ავეჯი, ფურნიტურა, ჭურჭელი, ქსოვილები, სიმბოლიკა, ჰერალდიკა და ა.შ.

გია ქურდიანის შვილი:
არჩილ (უმცროსი) ქურდიანი
არქიტექტურის დოქტორი,
საერთაშორისო არქიტექტურული აკადემიის
პროფესორი;
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის
გამგეობის წევრი (UAG);
საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის წევრი;
თბილისის სკულპტორთა და არქიტექტორთა
ასოციაციის გამგეობის წევრი (TASA)

გია ქურდიანის შვილიშვილი:
გიორგი (უმცროსი) ქურდიანი
არქიტექტურის მაგისტრი,
საქართველოს არქიტექტორთა
კავშირის წევრი (UAG)
საქართველოს არქიტექტორთა
ასოციაციის წევრი (AAG)
თბილისის სკულპტორთა და
არქიტექტორთა ასოციაციის წევრი
(TASA)

ზარიფოვის ქ. 44
ბინა ქარიანის
საცხოვრებელი ხაზები
ზაფხულის ქუჩა
ბერიძის ქუჩა
ბერიძის ქუჩა

ბარამიძის ქ. 44
ზმა ქარდიანის
საცხოვრებელი სახლი
ბაბანაძის ქუჩა
ბ. ბაბანაძის ქ.
ბ. ბაბანაძის ქ.
ბ. ბაბანაძის ქ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032333473**
თარიღი: **30/11/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის ნუგზარ ხვედელიანის 2022 წლის 05 ოქტომბრის საქმე #10/032227724-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის გიორგი (გია) ქურდიანის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ არჩილ ქურდიანის ქუჩის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში არჩილ და გია ქუედიანების სახელობის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 8(რვა) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01233421578**
თარიღი: **08/12/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 30.11.2023 წლის #03-032333473 (30.11.2023 წ. #14-01233343964-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

არჩილ ქურდიანი

(1903-1988)

არქიტექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ,სსრკ სახალხო არქიტექტორი

დაიბადა თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1929 წელს. 1948 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (პროფესორი - 1960 წლიდან); ნამუშევრები: საქართველოს პავილიონი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში; გ. ლეჟავას მონაწილეობით; სსრკ სახელმწიფო პრემია,; თბილისში - ეროვნული სტადიონი, არქიტექტორებთან ქ. სოკოლოვა-ქურდიანთან, გ. ქურდიანთან და გ. აბაშიძესთან ერთად; ი. სტალინის სახლ-მუზეუმი და სასტუმრო „ინტურისტი"; ქ. სოკოლოვა-ქურდიანთან ერთად - გორში; მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები; თბილისში არის არჩილ ქურდიანის ქუჩა.

1936-1944 წლებში იყო თბილისის მთავარი არქიტექტორი; 1959-1962 წლებში იყო

სსრკ მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემია, წევრი 1957;

სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 1980;

1961 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება;

1970 წელს სსრკ სახალხო არქიტექტორის წოდება.



გია ქურდიანი

(1932-2014)

არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი 1961 წლიდან. ღირსების ორდენის კავალერი, 2006 წლის საუკეთესო არქიტექტორი.

დაიბადა 1932 წლის 15 ოქტომბერს თბილისში, ცნობილი ხუროთმოძღვრების, არჩილ ქურდიანის და ქეთევან ქურდიანის ოჯახში. იწყებს სწავლას მე-15 საშუალო სკოლაში, ხოლო, 1950 წელს ამთავრებს მე-9 ვაჟთა გიმნაზიას.

1950 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, შემდეგ 1952 წელს გადავიდა არქიტექტურის ფაკულტეტზე და დაამთავრა 1958 წელს. სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე იწყებს შემოქმედებით მოღვაწეობას. არის მრავალი პროექტის ავტორი. მათგან უდიდესი ნაწილი იქნა განხორციელებული ნატურაში.

60-იან წლებში მამასთან ერთად მუშაობს ავტორად და პროექტის მთავარ არქიტექტორად თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტზე.

60-იან წლებში „დინამოს“ სტადიონი ვეღარ აკმაყოფილებდა თავისი ტევადობით მრავალათასიანი გულშემატკივრის უდიდეს ინტერესს ფეხბურთისადმი. აუცილებელი გახდა ან ახალი სტადიონის აშენება, ან არსებული „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია-გაფართოება.

იმ პერიოდში აიკრძალა ნებისმიერი სპორტული ნაგებობის აშენება. თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის უფლება მიეცა მხოლოდ იმიტომ, რომ დასწრების მხრივ ეს სტადიონი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, იყო კონკურს გარეშე.

შეიქმნა ახალი, თანამედროვე არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნაგებობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 100 000 ადგილს. დაიწყო არსებული სტადიონის ნგრევა და ახლის აშენება, რომელიც კვლავ შეჩერდა. მოსკოვის წინადადებით ტევადობა უნდა შემცირებულიყო 75 000 მდე, მოიჭრა აშენებული კონსტრუქციები. ავტორების წინაშე დაისვა რთული ამოცანა, უმოკლეს ვადაში უნდა შექმნილიყო ახალი პროექტი. ავტორებმა არქიტექტორებმა არჩილ და გია ქურდიანებმა, ინჟინერ კონსტრუქტორ შალვა გაზაშვილმა ამჯერადაც მიაღწიეს დიდ გამარჯვებას 1976 წელს გაიხსნა დიდი ფეხბურთისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის კომპლექსი. ცენტრალური ეროვნული სტადიონი, სტადიონი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

სტადიონის რეკონსტრუქციის დროს და შემდგომ პერიოდში გია ქურდიანი მუშაობს სხვადასხვა ობიექტებზე.

მრავალსართულიანი მრგვალი გარაჟი კრწანისში. 1967 წელს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის პირველი სასტუმრო სახლის რეკონსტრუქცია (არჩილ ქურდიან უფროსთან ერთად).

1981 წელს პირველი სასტუმრო სახლის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, ხოლო 1998 წელს იგივე ნაგებობის რეკონსტრუქცია მის ვაჟთან არჩ. ქურდიან უმცროსთან ერთად.

მეორე სასტუმრო სახლი და გამაჯანსაღებელი კომპლექსი აბანო; ხელოვნური ტბა; მესამე სასტუმრო სახლი; რეზიდენციები: ბობოყვათში და ვარციხეში; მაღალი სტუმრების მიღების თეთრი დარბაზი ყოფილ მთავრობის სახლში; ცეკავშირის ხაზით, მთელი რიგი ობიექტებისა საქართველოს ყველა რეგიონში. რამდენიმე ათეული ობიექტთაგანი განხორციელებულია თავის ვაჟ არქიტექტორ არჩილ ქურდიან უმცროსთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მისი ობიექტის ინტერიერს და დიზაინს თვით ახორციელებს. იგი ქმნის ინტერიერს, ავეჯს, ჭურჭელს, სიმბოლიკას და სხვა.

სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა პროექტის მთავარ არქიტექტორად, საპროექტო სახელოსნოს უფროსის მოადგილედ და უფროსად, საქართველოს მთავრობის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფოს მეთაურისა და პრეზიდენტის აპარატის, მთავარ არქიტექტორად. ამჟამად არის „გია და არჩილ ქურდიანების სტუდია „დინასტია“-ს გენერალური დირექტორი. 2006 წელს მას მიენიჭა წლის საუკეთესო არქიტექტორის წოდება. ასევე იყო ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია მოთავსებულია სხვადასხვა ენციკლოპედიურ გამოცემებში, მათ შორის სპეციალურ გამოშვებაში „ვინ ვინაა“. „კახეთის გამოჩენილი ადამიანები“.